



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აზუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 557
10/08/2018

557-09-4-201808101035



ბრძანება

დაბა ხულოში საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის (სტომატოლოგიური კლინიკა-აფთიაქი (საკადასტრო კოდი 23.11.31.054)) მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ

მიმდინარე წლის 19 ივლის შესასწავლად დაგვეწერა დაბა ხულოს თამარის ქ. №4-ში მცხოვრებ ზურაბ ჯორბენაძის №7178/09 განცხადება მის კუთვნილ მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი 23.11.31.054) საზოგადოებრივი დანიშნულების (სტომატოლოგიური კლინიკა-აფთიაქი) შენობის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ. წარმოდგენილია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII-ე და მე-IX-ე თავების მოთხოვნათა შესაბამისად დამუშავებული დოკუმენტაცია.

ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესში დაცული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავის მოთხოვნები. გამოკვლეული იქნა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელი იყო ადმინისტრაციული აქტის მიღებისათვის და სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დამტკიცდეს დაბა ხულოში საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის (სტომატოლოგიური კლინიკა-აფთიაქი (საკადასტრო კოდი 23.11.31.054)) მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე და მე-IX-ე თავების და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული

დაგეგმარების სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ანზორ ცეცხლაძის 2018 წლის 01 აგვისტოს N1775-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- 1) დაკმაყოფილდეს ზურაბ ჯორბენაძის მოთხოვნა და დამტკიცდეს დაბა ხულოში საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის (სტომატოლოგიური კლინიკა-აფთიაქი (საკადასტრო კოდი 23.11.31.054)) მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;
- 2) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს (ა.ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ასლ(ებ)ის გადაცემა;
- 3) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის N5) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 4) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გოჩა მელაძე



მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა